# ბახტრიონი

ფასი 5.000 მ.

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04

განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 19 — ორშაბათი 13 ნოემბერი — № 19


**გაზეთ „ბახტრიონის" თვითეული № დღეიდან ეღირება 5.000 ხუთი ათასი მანეთი**


## სააქციონერო რუსეთ-კავკასიის სავაჭრო საზ—ბა „რუსკავტორგ"

ძირითადი თანხა 800,000 მან- ოქრ.

აუწევს სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე კერძო საწარმოო დაწესებულებებს და პირთ, რომ ა.წ. 24 ოქტომბრიდან.

საზოგადოება აწარმოებს

**ოპერაციებს**

**ყიდულობს და ჰყიდის:**

ფქვილს, მარცვალს, აგრეთვე რუსეთის მრეწველობის ფაბრიკატებს: მანუფაკტურას, გალანტერიას, ჰურჭლეობას, ტყავისა და სხვა საქონლებს.

**იძენს ექსპორტისათვის რუსეთში:**

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის. ნედლეულსა და პროდუქტებს: კაკალს, მატყლს, ბამბას, ხილეულობას, ღვინოს, დაფნის ფოთოლს, ცხვრის ტყავებს და სხვა.

**ოპერაცია სწარმოებს**

ნაღდი ანგარიშით საკომისიო საფუძველზე და მოგებაში ორივე მხარისთვის წილის დადებით.

**საზოგადოება კისრულობს:**

სამრეწველო ტრესტებისა და სინდიკატების სავაჭრო წარმომადგენლობას.

**საზოგადოებას აქვს:**

განყოფილებანი და წარმომადგენლობანი ბაქოში, ერევანში, როსტოვში და მოსკოვში.

**წინადადებებით გთხოვთ მიმართოთ:** თბილისი, შტაბის ქუჩა № 6, ტელეფონი 4—20.

## მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი

ვეტერინარ ბაქტეორილოგიურმა ლაბორატორიამ დაამზადა

**ციმბირის ჭირის** (Сибирская язва)

საწინააღმდეგო 1 და 2 ვაქცინები

**დოზა ვაქცინისა ღირს 5.000 მანეთი.**

ლაბორატორია აწარმოებს ყოველგვარ

დიაგნოსტიურ გამოკვლევებს

(ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულს)

აქვე შეიძლება შეძენა გამოხდილი (Дистилировнная) წყალისა

კობის ქუჩა № 9.

## ს. ს. ს. რ. სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილება

**ამით აცხადებს, რომ მის საწყობებში იმყოფება ბ ი თ უ მ ი თ გასაყიდათ შემდეგი საქონელი**

შაქარი გოლანდიის რაფინადი (სამი ტომარი)
„ ფხვნილი
ჰურჭლეულობა (ემალის, თუჯის, ფარფორის)
რკინეულობა, სპილენძი, თოკი, საღებავი
სამდივნო ნივთები
საელექტრონო და ტეხნიკური საგნები
თუჯის ღუმელები და სასურსათო საგნები.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ სახალხო ბანკის შენობის სავაჭრო განყოფილებაში მოსალაპარაკებლათ დილის 9 საათიდან 8 საათამდე

## 5 ნოემბერს გაიხსნა

ამიერ-კავკასიის სატრანსპორ. მომხმარებელ საზოგადოების

# საბითუმო

## საწვრილმანო მაღაზია

პლეხანოვის პროსპექტი, № 138.

**მიღებულია რუსეთის, საზღვ რ-გარეთის და საკუთარი წარმოების საქონლის დიდი პარტიები.**

**ი ყ ი დ ე ბ ა:** შაქარი, ჩაი, სარეცხის და ტუალეტის საპონი, მანუფაქტურა, ყოველგვარი ჭურჭელი, და ფაიფურის „გრეტცის" „კერასინკა", სეპარატორები, გუთანი და სხვა.

**საწვრილმანო მაღაზია № 1**

(კ·რკის და პლეხანოვის ქ. კუთხე)

განყოფილებანი: მანუფაკტურის, გასტრონომიული, საბავალეინო და წიგნების.

**საბითუმო მაღაზია**

(19 თებერვლის ქ. კუთხე № 80)

იყიდება ბითუმად: ქვა მარილი და დაფქვილი და ყოველგვარი საკასრო ნაწარმოები.

**საქონლის ფასები ყველა მაღაზიებში ზომიერია**

ყოველგვარი ცნობის მისაღებად უნდა მიმართონ მაღაზიების გამგეებს ან ამიერ-კავკასიის სატრანსპ. მომხმარებელი საზოგადოების სავაჭრო განყოფილებას. (პლეხანოვის პროსპექტი № 138).


## მაგარი შემოქმედება

ახალი მწერლობის კავშირის საზეიმო სხდომა, გახსნილი ვაჟა ფშაველას სახელით უნდა ჩაითვალოს შესანიშნავ მოვლენათ ქართულ მწერლობაში. ეს ხაზი ეკუთვნის ახალ პოეზიას, რომელსაც ყველაზე მეტი სურვილი და საშუალება აქვს, დაიცვას ინტერესები, და სათავეში ჩაუდგას თანამედროვე ქართულ ხელოვნებას. ის გავლენა, რომელიც მოახდინა ახალმა სიტყვამ, და პოეზიის გაგებამ და კულტურის დაფასებამ.

უკვე საკმარისია, რომ ლაპარაკი იყოს არა შკოლის, ჯგუფის სახელით, არამედ კულტურის მეთაურის ხმით. ყველასათვის ადვილი დასანახია, რომ მუშაობა უჩვეული და თავგანწირული დაიწყო, მას ახლა სჭირდება გაღრმავება და გავლენის ღირსეულად გამოყენება.

ქართველ საზოგადოებაში არა თუ გაიზარდა ინტერესი ხელოვნებისადმი, არამედ ის ახლა მხოლოდ ხელოვნებას ისმენს, მას ეყრდნობა და მისი იმედი აქვს... სამწუხაროდ ჩვეულებრივ ქართული გესლიანობა, და დროს შეუგნებლობა, ხელს უშლის ხელოვნების შეკავშირებას, დისციპლინის დამყარებას, და საერთო ხმას.

საქართველოს ბიოლოგიურად, ვერ ასცდება სიმრავლე წვრილფეხა და ქონდრის ხალხის, როგორც ყველა პატარა ქვეყანას, საუბედუროთ, ასეთი ხალხისათვის დღეს კარგი ნიადაგია ჭორების და პროვოკაციების განაღდებისათვის, მაგრამ ჩვენ ყოველთვის მათ გარეშე ვიყავით, და ჩვენი სიტყვა მათთვის არ უნდა იწერებოდეს.

პირველი აუცილებლობა შემოქმედებისათვის არის ენერგია, და ტემპერამენტი. ეს ახასიათებს, სხვათა შორის, ჩვენ საუკუნესაც რომელიც დიდი და გიგანტურია. საქართველომ, ვერ შესძლო, უკანასკნელამდის მაგარის ხმით ლაპარაკი, თუმცა შესაძლებლობა ჩვენ გვაქვს უფრო მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ახლო აღმოსავლეთის ერს; მე ვლაპარაკობ კულტურის საშუალებით.

ამის მიზეზი არის უმთავრესათ შინჩაკეტილობა, და საკუთარ წვენში დუღილი. ჩვენ ათეულ წლებით ვრჩებოდით უკან, და რაც უფრო საშინელია, ამ ჩამორჩენას ანგარიშს არ უწევდით. და თითქოს არც გვეშინოდა მისი. ახლა, როგორც არას დროს საჭიროა მაღალი ხმა, და უკანასკნელი გაწევა. ქართული პოეზიას, მწერლობას, დასჭირდება პირველი ტონის მიცემა, და ის უნდა იყოს ამისათვის მზად.

ჩვენს მწერლობას თითქოს ჰია შეეპარა, დასნეულდა და გაყვითლდა. საჭიროა თერგის ღრიალი, და არა წყაროს რაკრაკი, საჭიროა გრიგალი და არა სიოს სიამოვნება, საჭიროა სიცოცხლე და არა საფლავზე ტირილი. აქ სადაც დევების ნაკვალევი, ჯერ კიდევ ღრმათ სჩანს, ჩვენ უკვე გადავეჩვიეთ კაცურად სიარულს.

ყოველთვის მწერლობა იყო დამახასიათებელი ერის სიძლიერის. ვერავინ იტყვის რომ ჩვენ იმედიანები არ ვიყოთ, საჭიროა მხოლოთ შეგნება რომ „წვრილი ხმა" არავის აღარ ესმის, ეხლა საუკუნეა დიდი მუშაობის, დიდი ენერგიის და დიდი ენტუზიაზმის.

ჩვენი დრო პირველად ყოვლისა ცდილობს სამუდამოთ მოსპოს რომანტიზმი, როგორც ცხოვრებასა ისე შემოქმედებაშიც. აზრი რომელიც რკინით და თუჯით არ გაიჭედება, ის არ იქნება მარადიული და საერთო.

ეს არის მოწოდება მათი, ვისაც თავის საყვარელ ფალავანათ ვაჟა-ფშაველა გამოჰყავს, და იმედის გისამარჯვებლად, თავისი მარადიული სიყვარული საქართველოსი.

უდიდესი მიზანი და ოცნება ქართველი პოეტის უნდა იყოს, რომ მან სავსემ და დამძიმებულმა ერის ყველა ხმებით, და ისტორიის რაინდული ეპოპეებით, გააგონოს მთელ ქვეყნიერებას „ყურის მგლეჯელი გრიალი".

**პაოლო იაშვილი.**

## მადონას წერილი ტიციანთან.

„მადონა დეზერტირის ბაზარზე
უსათუოდ თ. მაა ახალი“.
ტიციან ტაბიძე.

როცა ვქურდობდი მნახეს ბაზარში;
და მაგზავნიან ახლა ციხეში.
თითქოს ვიგრძენი: დამეცა ბრაზი,
რომ მომაყარა მე მთვარემ ხრეში.

ბავშო ტიციან! დაგტოვე მარტო.
ალბად იმღერებ ორპირის სონეტს.
და შენ თვალებში—სოველი მარტი
ჩაუფენს ყვავილს საცოდავ პოეტს.

და ვფიქრობ ახლა ხომ არ წააწყდი
ეკლესიაში ნაქურდალ ხატებს.
ილოცე ჩემთვის იქნებ არ წავწყდე.
და ნუ გაყვები ღამის ინფანტებს.

ნუ გამიწყრები საწყალ ნათრევალს,
რომ ღამის ლეზვი მეხვევა მწვავედ.
გამომიგზავნე სიონის მხევალს
წმინდა სანთლების მაინც ნაწვავი.

ციხეში მთვარეს გავკერავ ძაფით,
მცველმა მთვარეზე გადამატარა.
და მაგონდება როცა ქერძაფით,
მე ზიარებას ვსვამდი პატარა.

ახლა მოწყენით ვარ როგორც წერო,
წერომ წვიმების მოდენა ურდო.
ამას გთხოვ კიდევ, რომ წააწერო
სიონის კარებს: „მადონა ქურდი“.

შალვა აფხაიძე.

## კარუსელი.

ჩვენ ცხოვრება გვქონდა ლეგენდარული,
ვინ კითხულობს ისტორიას თავიდან.
თქარათქურა ეპოქათა მარულის
ყრუდ მოისმის შორეულ საფლავიდან.
ასეთია ბედის გაალმასება,
ეპოქა კვლავ იწყება თავიდან;
ალბათ ჩქარა დავლევთ სავსე თასებით
ალბათ სხეულს გოლგოთაზედ ავიტანთ.
ფაფარ აყრილ ვნება-გადაჭენებით
საუკუნის მოვა მკერდი მაგარი
და წაგვლეკავს რისხვით და შეჩვენებით
ტროპიკების წვიმა და ნიაგარი.
ჩვენ ცხოვრება. გვქონდა ლეგენდარული
(ძველი თემა,—ბევრჯერ გადანამღერი)
ვინ გაიგოს: დღე იქნება დარული,
თუ წაგვბურავს დავიწყების ნამქერი.

ლევან ასათიანი

# ხელოვნების მთავარი შტაბი

ქართულ ხელოვანთა პროფესიანული ორგანიზაცია დიდი ხანია დაიწყო. ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის დღეებში მოხდა კონფერენცია ქართველ მწერალთა და ტფილისში პირველად ყოფილ რუსეთის საზღვრებში დაარსდა მწერალთა კავშირი.

უნდა ითქვას, რომ თვითონ რუსეთში მწერალთა კავშირი ერთი წლით გვიან მოეწყო ვინემ საქართველოში.

ეხლა მწერალთა კავშირს თითქმის ხუთი წლის ისტორია აქვს. მაგრამ რამდენიმე წლის წინად. თვითონ მწერლებში, რომელთაც პირველმა მოასწრეს ორგანიზაციის მოწყობა დაიბადა აზრი, რომ მოწყობილიყო ისეთი მხატრული ცენტრი, რომელიც შეართებდა ყველა ქართველ ხელოვანთ. მწერალთა კავშირმა გამოყო კომისია თავის შემადგენლობიდან: შალვა დადიანი, კოტე მაყაშვილი და ტიციან ტაბიძე, რომელთაც შეადგინეს და დაამტკიცებინეს მთავრობას წესდება სახელოვნო ცენტრის. ამ ცენტრში შედიოდენ წარმომადგენლები: მწერლობის, მხატვრების, მსახიობების და მემუსიკეთა. გამგეობა შესდგებოდა ცამეტი კაცისგან პროპორციული სისტემით. ქალაქის თვითმართველობამ სამხატვრო ცენტრს გადასცა ნახევარი ქალაქის კლუბთა ყველა ლოტოების შემოსავლისა, რომლის რაოდენობა იმ დროში აწევდა რამდენიმე მილიონს. სამხატვრო ცენტრმა თავის ფულით 2 მილიონათ შეისყიდა შრომის სამინისტროსაგან კინო თეატრი „მინიონი“ მთელი თავისი მოწყობილობით. (ეხლა ეს თეატრი ხელოვანთა კავშირს ჩამოართვა პროფ. კავშირთა საბჭომ, და ამისთვის ხელოვანთა კომიტეტს არაფერი კომპენსაცია არ მიუღია, და საქმე ირჩევა სასამართლოს წესით). ყველაფერიდან აშკარათ სჩანდა, რომ სახელოვნო ცენტრს დიდი მომავალი ჰქონდა დიდ მხატრულ საქმესაც გააკეთებდა, მაგრამ მატერიალურ სახსარის წართმევამ მას რამდენიმეთ შეუშალა ხელი.

მართალია ხელოვანთა კომიტეტს გადაეცა ხელოვნების სასახლე, მაგრამ როგორც წინა წერილებში იყო ნათქვამი უფულობის გამო ვერც მისი ორგანიზაცია მოეწყო იმ გეგმით, როგორც იყო განზრახული.

ამ დროს იწყება დეკადანსი მწერალთა კავშირის. საბჭოთა კონსტიტუციით ვერ მოხდა მისი ლეგალიზაცია, რადგან კავშირები ამ კონსტიტუციით წარმოებით სისტემაზე არის აგებული, ამან უფლებრივად ბევრი ზიანი მისცა მწერალთა კავშირს, მაგრამ ამ ას კიდევ იმდენი უბედურება არ ექნებოდა, რომ თვითონ კავშირი არ დაქსასულიყო. პირვანდელ მწერალთა კავშირის მაგიერ, რომელსაც ყველა ენტუზიაზმით ეკიდებოდა დღეს მწერალთა კავშირი დაარსდა „აჭარისტანში„, (ამას თავის დროზე განიხილავს ისტორია) მწერალთა კავშირი დაარსდა ქუთაისში, რომელსაც აქვს თავისი გამოცემები და სრულიად ანგარიშს არ უწევს ტფილისს, თვითონ ტფილისში კავშირი ორად გაიყო და არ თუ საერთო მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, პირიქით აქ ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირებმა ისეთი ანტაგონიზმი დაბადეს, რომ ლამის არის მწერლობა ყველას შეაძულონ. იყო შემთხვევა, რომ ამას წინად მწერალთა კავშირის საზეიმო სხდომაც კი დაიხურა იმ ობსტრუქციის გამო, რომელიც გამართა მწერლობის ერთმა ჯგუფმა, რომელიც შესდგებოდა უმთავრესათ ახალგაზრდებისაგან.

ამით აიხსნება ისიც, რომ მწერალთა კავშირი კონფერენციასაც ვერ იწვევს და ატმოსფერა თანდათან მწვავდება, ეს იმ დროს, როცა არასდროს არ ყოფილა საჭირო ერთობა როგორც დღეს, რადგან ლამის არის მწერლობა მოგონებათ იქცეს და ქართული წიგნი სრულიად მოისპოს.

ამ დროს მეტი ყურადღება და მეტი მუშაობაა საჭირო, რომ ქართველ ხელოვანების მთავარი შტაბი, ხელოვანთა მთავარი კომიტეტი შექნეს ხელოვნების ნამდვილ ცენტრად.

ამის ტანდეციები კიდეც არის. ხელოვანთა კომიტეტი ხელოვნებში თანდათან იკიდებს სიმპტაიებს. ამ რამდენიმე ხნის წინად გადახდილ იქნა ბ. არტურ ლეისტის იუბილე, რომელსაც დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, დეკემბერში კომიტეტი აწყობს მოქანდაკე ი. ნიკოლაძის იუბილეს.

ხელოვანთა კომიტეტს განზრახული აქვს გამოსცეს დიდ ტანიანი ჟურნალი ხელოვნების.

სადაც იქნება განყოფილებანი: ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, და მხატვრობის.

არსდება ლიტერატურა სალონი; სდგება ცენტრალური სამხატვრო ბიბლიოტეკა, მუშავდება გეგმა ახალი პანთეონის, გამომცემლობის, მოხსენებების და ბევრი სხვა.

აშკარაა ხელოვანთა კომიტეტი უნდა ჩაითვალოს ქართულ ხელოვნების მთავარ შტაბათ. ეხლა თვითონ ქართველ ხელოვნებზე არის დამტკიცებული, როგორ შემოკრიბონ ამ შტაბის გარშემო და როგორ ენერგიას გამოიჩენენ, რომ აიცილონ საფრთხე ქართულ ხელოვნებას და კულტურას და გაუძღვენ იმ დიდ საქმეს, რომელსაც მოითხოვს ხალხი თავის ინტელექტუალურ ხელმძღვანელებისგან. აშკარაა პრესტიჟი და გავლენა ამ კომიტეტის დამოკიდებულია სწორედ იმ ენერგიიდან და ორგანიზაციულ ნიჭიდან, რომელიც უნდა გამოიჩინოს ყოველმა ქართველმა ხელოვნმა.

დღეს მთავარი ხელოვანთა კომიტეტი არის ის უზენაესი ორგანო, რომელიც გაამაგრებს სხვა ხელოვანთა კავშირებს, რომელნიც ან დეზორგანიზაციის გზას ადგანან ან და ორგანიზაცია ვერ მოუწყვიათ.

თუ ხელოვანთა მთავარ კომიტეტს ექნება ეს სიმპატია და ნდობა ქართველ ხელოვანთა განურჩევლათ ხელოვნების დარგისა მიმართულებებისა, ის გამარჯვებული გამოვა კატასტროფიულ მდგომარეობიდან და ქართულ ხელოვნებას გადაუხდელ სამსახურს გაუწევს.

ვარამ გაგელი.

# წერილი პარიზიდან

ბევრმა წერილმა მეგობრებისაგან, პარიზიდან ბერლინიდან და სტამბოლიდან, ვერ მოახწია ჩვენამდინ. დანამდვილებით ვიცით რომ მთელი ტრანსპორტი წიგნების ნიკ. მიწიშვილისაგან, ბათომში დაიკარგა. ლადო გუდიაშვილს დიდი წერილი გამოუგზავნია პარიზიდან ,,ყანწელებისათვის‘‘ და ალბათ მათაც წიგნების ბედი ეწვია. მხოლოდ ეხლა, ისიც სხვა ადრესით გამოგზავნილი, ვრცელი წერილი მოგვივიდა, თბილისელებისათვის ცნობილ პოეტის ილია ზდანევიჩისაგან, რომელმაც პარიზში გადაიტანა თავისი მუშაობა, დაარსა განყოფილება 41 გრადუსის უშვებს ბროშურებს, და “პოეტების პალატაში‘‘ კითხულობს მოხსენებებს, რომელთაც ახლო კავშირი აქვთ ,,დადაისტების‘‘ მიმართულებასთან. ,,ხელოვნების მოყვარულთა‘‘ კავშირმა ზდანევიჩი ახლა მიიწვია ესპანიაში და გერმანიაში ლექციების წასაკითხავათ: მოგვყავ ადგილები მისი წერილიდან.

ძვირფასო მეგობრებო!

,,თბილისიდან წერილებს დაგვიანებით ვიღებთ პარიზში- წერილები მოდის რუსეთით, მოსკოვიდან ხშირად საჰაერო ფოსტით. პარიზის [illegible]ესტეტიურ ცხოვრებაზე ბევრის მოწერა არ შეიძლება. უცხოელები აქ არ უყვართ, უცხოელებს აქ ძლიერ ემაყებიან. თუმცა ჩვენ ყველას გვინდა ფრანგები ვიყოთ. პარიზი, შეიძლება ინერციით, მაინც რჩება ხელოვნების სატახტოთ. აქ ახლა ფასდება ,,შემოქმედება‘‘ მიმართულებებს, არც მარცხნივ და არც მარჯვნივ მნიშვნელობა აღარა აქვს. რუსებიდან აქ თითქმის აღარავინ დარჩა, ერთი მხოლოდ დაბერებული ზ. გიპიუსი მხატვრები ბარტსო და ლარიონოვი. სუდეიკინი ბალიევის თეატრს გაჰყვა ამერიკაში, გამდიდრდა, თუმცა ყოველთვის განსაკუთრებულის ენტუზიაზმით იგონებდა ტფილისის ცხოვრებას და თავის მეგობრებას. ლადო გუდიაშვილი ბევრს მუშაობს და ყველას მოსწონს. ის ისევ თბილისელი რჩება, არ ღალატობს თა-

# დოკუმენტები და მოგონებები

## ილია ჭავჭავაძის წერილები

### წერილები ვასილ მაჩაბელთან

III

„გულფიცხო, მაგრამ მაინც კარგო ჩემო მეგობარო ვასო!

შენი რისხვით მქუხარე წიგნი მივიღე დიდიხანია, მაგრამ მიხარიან რომ მარტო მეგობრული საყვედური ამოვიკითხე იმა რისსხვიდამ და არა გაბოროტების ბრაზი. მე წინადვე ვიცოდი რომ ჩემი ტელეგრამმა შენ ფრიად გეწყინებოდა, მაგრამ, ნაფაიდა, ისევ შენი წყენა ვირჩიე, ვიდრე, საზოგადო საქმის დაყენება.

მე მიწამებია და მწამს შენში ერთი დიდი სიკეთე: საზოგადო საქმეში შენს საკუთარ წყენას უპირატესობას არ აძლევ ხოლმე. ესა მწამს, ამით მამართლე და ნუ გამკიცხავ. ჩემო კიდევ გულფიცხო, მაგრამ კარგო მეგობარო ვასო!

მე და შენ რომ მართლადა ქართველები არ ვიყვნეთ დავიჯერებდით რომ „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“ შენ, ჩემო ძამიავ საქმეს მაინდამა სინჯამ და იმიტომ გგონია რომ საქმის დაყენება შეიძლებოდა. არრას გზით არ შეიძლებოდა, იმიტომ-რომ ეგ რომ დაყენებულიყო უნდა დაყენებულიყო თვით თავადაზნაურობის კრება, უნდა გადადებულიყო თვით ბანკის გახსნა და სხვანი და სხვანი, შენი პირველი ტელეგრამა ძალიან გვიან მომივიდა, ჩემი სახელი შეეცვალათ და მალე ვერ მომაგნეს. შენ დაგეკითხე ტელეგრამით, იმიტომ რომ რაკი შენი წიგნი, ჩვენის პირობისამებრ, ჩემს მოსვლის დროსვე აქ არ დამხვდა, ყოველივე კითხვა და მიწერმოწერა უქმი და წყლის ნაყვა იქნებოდა, რადგანაც აღარაფერი აღარ მოგვესწრობოდა. შე კაი კაცო, მანდვე გთხოვე რომ თუ რასმეს გაარიგებ, უნდა ეცადო გარიგდეს ჩემს იქ მისვლამდის მეთქი და ამასთანაც შენი წიგნი ამ საგანზედა იქ უნდა დამხვდეს მეთქი. თუ მართლა ქართველი არა ხარ, რატომ არ დაიჯერე რომ ეს სიტყვა უმიზეზო და უსაბუთო არ იყო. ნეტა როდისაც იქმნება ჩამოვარდეს ჩვენში მტკიცე ჩვეულებად რომ თქმული კაცმა თქმულად მიიღოს და პირველშივე არ იფიქროს რომ თქმულს აქედაც გადეხვევა და იქითაც. მართალია. ბანკირთან საქმის დაჭერა და გათავება ბევრ დროს ითხოვს და არც ადვილია, მაგრამ მიკვირს შენის კეთილგონიერებისაგან, რომ, რაკი ამ შემთხვევაში უმთავრეს პირობად და აუცილებლად საჭირო სიჩქარე იყო და ეგ სიჩქარე ვერ ხერხდებოდა რატომ თავი არ დაანებე და რიღასთვის განაგრძე მოლაპარაკება ვინეკენთან. მე ამას იმიტომ კი არა გწერ, რომ მაგითი ვითომ საქმე წაგეხდინოს, არამედ იმიტომ რომ შენმა მართლმსაჯულებამ დაინახოს ვინ არის დამნაშავე ამ შემთხვევაში, მე თუ შენ, შენ თუ მე, ერთის სიმღერის არ იყოს. მწერ, უნდა მცოდნოდაო, რომ ამისთანა საქმე მალე არ გარიგდებოდაო. მე თუ არ ვიცოდი, შენ ხომ იცოდი, მეტყოდი მაგას, მეც კისრად ავიღებდი და დავდუმდებოდი, ჩემო კარგო!

ეს აპელლაციის არზა მიმართმევია შენთვის შენსავე გადაწყვეტილობაზედ. გაჭრის ეს არზა თუ არა, არ ვიცი, ეს კია, რომ მე გულწრფელად მსურს ყოველს ჟამს და ყოველს შემთხვევაში მიგულო შენდამი პატივისმცემლად და მეგობრად.

ეს აქ დავუტევოთ და მცირე რომ აქაური ამბები მოვიხსენიოთ. ჩვენი ბანკი კუისავით მილოღავს ჯერჯერობით; მეფე ლირს ცალკე წიგნად ვაბეჭდინებ. დაბეჭდის შემდეგ უნდა საზოგადოდ წავიკითხოთ т. е. устроить чтенiе в лицахь на пробу) ყველამ თავისი როლი. ამბობენ, დავით ყიფიანის (მირავოი სუდიის) და თავისთავად ემზადებაო კორდელიის როლისათვის და საოცრად თურმე ადგენს. გადაუწერია შარშანვე მთელი ლირი და ისე მოსწონებია, რომ კორდელიის როლი შეუსწავლია თავისის საკუთარის ატაცებისა გამო და არა სხვა რაიმე განზრახვითა. მე ჯერ არ მინახავს და ამბობენ, ქვეყანას განაცვიფრებსო. შენ უყურე, თუ მართლა საქართველომ შეიძლო ნამდვილი კორდელიის წარმოდგენა, მაშინ როდესაც კრიტიკოსები ამბობენ, ჯერ მაგისთვის აქტრისა არ დაბადებულა. სხვა არ ვიცი რა მოგწერო. ასეთი უგემურობა და უჟამურობა სუფევს ამ ჟამად ქალაქში, რომ ვერ წარმოიდგენ, ერთი შესანიშნავი ამბავი არ არის, რომ შენი ღირსი იყოს.

მშვიდობით მეორე წიგნამდე, ჩემი ვასო! მომიკითხე შენი ძმა ვანო და ყმაწვილები. გთხოვ დარწმუნებული. იყო, რომ კავკასიის მთების იქით ერთი ერთგული მეგობარი გყავს, რომელსაც ეძახიან ილია ჭავჭავაძეს.

15-მარტს.

ვასილ მაჩაბელი, (ვანო მაჩაბლის ძმა) როგორც წინედ მოვიხსენიეთ, იყო იურისტი და კარგა ხანს პეტერბურგში ცხოვრობდა. შემდეგ თბილისში გადმოვიდა და აქაც ვექილობდა. ილიასთან შესწყვიტა მტკიცე მეგობრული კავშირი 1894 წლიდან, როდესაც მიემხრო თავის ძმას ვანო მაჩაბელს და ამ ჯგუფიდან ებრძოდა ილიას. ვასილ მაჩაბელი გარდაიცვალა 1915 წელს. ბოლოს ვანოც მოიმდურა მამულების საქმეების გამო. ვ. მაჩაბელი მამაა ცნობილი დიპლომატის გიორგი მაჩაბლის, რომელიც ამ ჟამად რომში ცხოვრობს. ვანოც და ვასოც დაიბადენ ს. თამარშენში (ზემო ქართლი) გიორგი მაჩაბლის ოჯახში.

„მეფე ლირი“ ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1877 წელს, ამ სათაურით: „ქართული მწერლობა. წიგნი მეოთხე. მ ე ფ ე ლ ი რ ი ტრაგედია ვილლიამ შექსპირისა. ინგლისურიდან. გადმოღებული ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ. ტფილისი. ექვთიმე ხელაძის სტამბა. 1877. წ.

დავით ყიფიანი—მომრიგებელი მოსამართლე—შემდეგ ნოტარიუსი. მამა ჟურნალისტი ლევან ყიფიანის.

IV

„მამულის შვილსა მამულისშვილი
შორიდამ სალამს გიყეფავ, ძმაო ვასილ“

მთავარი ნაწილი წერილისა ბანკის საქმეებს ეხება წერილის ბოლოში სწერს: ვანოს (მაჩაბელს) გულითადს მოკითხვას მოვახსენებ ვანოს უთხარი, რომ ლირი მივეცი კრებულში დასაბეჭდად. ყველას მოსწონს, აკაკი წერეთლის გარდა.

დღეს საღამოზედ დიდი ყრილობაა და იქა ვკითხულობ ლირსა. თუ ჩემებურად გაქირი ვქენ, ვერაფერი კითხვა. მომივა. ქუთაისში, გამოვლაზედ წავიკითხე, ძალიან ცუდად და საძაგლად მომივიდა კითხვა. თქენ რომ იქ ყოფილიყავით შემიბრალებდით ასე საძაგლად ვიყავით. ვნახოთ ამაღამდელი ღამე რას იტყვის.

ყაზბეგთან კინაღამ ის არ მოვიდა, რაც მე და შენ. ვიცოდით, ბოლოს შეგვარიგეს და მე მაღიარეს დამნაშავედ. ნჰამ მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადო, ამბობს რუსთაველი, უსამართლობა კი ნედლსაც გადაახმობს, მაგრამ რა ვუყოთ? თურმე სოფელი ესეა.

მიგულე მარად შენდა მეგობარი
ილია ჭავჭავაძე

15 ივნისი
ტფილისი.

ჩვენის აზრით ეს წერილი უნდა ეკუთნოდეს 1877 წელს.

აკაკი წერეთელთან ერთად „ლირის“ თარგმანს იწუნებდა აგრეთვე დიმიტრი ყიფიანი. (იხ. მისი წერილი ილია ჭავჭავაძესთან.) თარგმანში ბრალსა სდებდა „სამწიგნობრო კილოს“ და მოითხოვდა ლირის როლი, რომელსაც იგი ასრულებდა, თვითონვე ეთარგმნა.

ყაზბეგი—მწერალი ალექსანდრე ყაზბეგია. რაზედ მოუვიდა ილიას კონფლიქტი ყაზბეგთან არ ვიცით.

წერილს ვაკუთვნებთ 1873 წელს.

### წერილები პეტრე უმიკაშვილთან.

III.

ჩვენო დედა ბოძო და არა... პეტრუს ბეგ! ჩვენი ნათარგმნი ლირი აქამომდე მიღებული გექნება და გადაკითხულიცა. მაშინ მოგწერეთ, რომ დაბეჭდინე მეთქი კრებულში ეხლა ორს შეუცვლელს პირობას გიდებ: 1) ისე უნდა დაბეჭდონ, რომ ლექსი არ გატეხონ, ე. ი. მთელი სტრიქონი ერთს სტრიქონზედ უნდა დასტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთს ნომერში სრულიად, ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაციცებულს თვალს მიანდონ. ცუდი არ იქნება რომ მაგ თარგმანზედ შენი ჩვეულებრივი პირუთვნელი აზრი მოიწერო ამ ადრესით: Студенту СП. университета Ивану Георгиевичу Мачабели с передачею Ильы Чавчавадзе. სანდრო ერისთავი ამ წიგნის მიღებისავე უმალ ნახე და უთხარი, რომ დამლუპავს თუ რაც დამპირდა, არ აღასრულა.

შენი ილია ჭავჭავაძე.

P. S. თუ ეგ ნათარგმნი მოგეწონა მაშ იმასაც გახარებ, რომ მეორე მოქმედებაც დღეს გავათავეთ და პირველს მოქმედებას სიკეკლუცით არ ჩამოუვარდება.

ილია პეტრე უმიკაშვილს ბოლომდე მეგობრობდა და მასთან ერთად საგამამცემლო მუშაობასაც ეწეოდა (,,კრებული‘‘, ,,ვისრამიანი‘‘ და სხვა) ამ ბარათში მოწერილი თხოვნა პ. უმიკაშვილს შეუსრულებია და ,,მეფე ლირი‘‘-ს ლექსები დაუბეჭდია გაუტეხავად. რადგან წიგნის არე ძალიან ვიწროა, ლექსები აწყობილია პეტიტით.

ვინ იყო სანდრო ერისთავი, ან რა საქმეებით იყო ილია შეერთებული მასთან,—არ ვიცით.

წერილი ეკუთვნის 1873 წელს

### წერილები ნიკო ცხვედაძესთან

I 14 июля Берлин

ძმაო ნიკო, აღსრულდა შენი მეგობრული სურვილი, და ეს თითქმის მესამე კვირაა, რაც ბერლინში ვარ ლეინდენთან. მე რომ აქ ბერლინში მოვედი დათიკო სარაჯოვი აქ არ იყო, სამს თუ

ვის სტილს, და ამაშია მისი გამარჯვება. კაკაბაძემ რამდენიმე წიგნაკი გამოსცა „მხატვრობის“ თეორიაზე. ძლიერ გვიკვირს რომ „ყანწელები“ არაფერს გზავნიან. მე და ლადო დავბეჭდავთ ყველაფერს რასაც გამოგზავნით. ძლიერ გაგვახარა „ფიროსმანის“ გამოცემის აზრმა. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენთვისაც გამოგეგზავნათ მისი არჩეული ნახატების ფოტოგრაფიული სურათები. აქაც შეიძლება ფიროსმანზე წიგნის გამოშვება. ევროპაში ეს დიდს შთაბეჭდილებას მოახდენს და ეს იქნებოდა კარგი დაწყება ქართული ხელოვნების პრაპაგანდისათვის.

დიდი მუშაობა სწარმოებს ახლა ბერლინში. იქ ძლიერ ადვილია გამომცემლობა და თითქმის ყველა ეროვნებათა ენაზე იბეჭდება იქ ახალი წიგნები. გავიგეთ რომ ქართული გამომცემლობაც არსდება.

გარდა ამისა, თუ თქვენ რამეს გამოგზავნით შეიძლება დაიბეჭდოს რომში და ნიუორკში. მე აქ გვარათ მოვახერხე კრუჩონიხის დაბეჭდა, კერძოთ მე ვბეჭდავ ჩემს დრამას „ლედანტიუ ფარმა“ პოემებს „ილიაზდა“ „ჩილავეკ“ „სიყვარული ამბავი“ 41 პროც. და რომანსი 41 გრადუსი

# ურემი

დიდი ხანია რაც ურემი არსებობს საქართველოში. მას იცნობდენ მირიანის, თამარის, რუსუდანის და ირაკლი II-ის თანამედროვეები და იგი ყოველთვის ის იყო, რაც ეხლაა, ე. ი. საპალნის გადასაზიდი და გადამყვანი ხალხის, უფრო კი ქალების და ბავშვების.

საუკუნეთა განმავლობაში ურემი არც გამოცვლილა, არც გაუმჯობესებულა და დღესაც იმ პირველყოფილ მდგომარეობაშივეა დარჩენილი.

მთიანი ადგილებისთვის, სადაც რიგიანი გზა ვერ უდგება, ურემი რასაკვირველია ზედ მისწრებაა, მაგრამ წარსულშიც კი, როცა ცხოვრება იყო ზანტი და მდორე, მაშინაც შემჩნეული იყო ურემის პირველყოფილობა. ცნობილია ქართული ქრონიკებიდან, რომ სპარსთა ოსმალთა და მონგოლთა საწინაამდეგო ბრძოლების დროს, სალაშქრო სურსათს, ღვინოს, პურს, ხალიჩებს, ქერს ბზეს და სხვ. ურმები ეზიდებოდენ ლაშქრის უკან მიყოლებით. რადგანაც ქართული ჯარი უფრო ცხენოსნებისგან შესდგებოდა, ამიტომ ურემის ზანტი და ტაატით სიარული ალბად აბრკოლებდა ლაშქარს და ხშირად უსურსათოდაც სტოვებდა. ჩვენთვის ეხლა ძნელი წარმოსადგენია ის დაბრკოლებანი, რასაც კი განიცდიდა ძველი ლაშქარი მოძრაობის დროს.

დაჭრილებსა და ავადმყოფებს ხომ ურმებით ეზიდებოდენ და როგორ იტანჯებოდენ ისინი ქვიანს გზებზე მგზავრობით. რასაკვირველია ხშირად ეს ნელი ქარავანი უვარდებოდა ხელში მტრის თარეშს და ისიც სპობდა მას შეუბრალებლად! წარმოიდგინეთ ის სულიერი მღელვარება და მოუთმენელობა, რასაც განიცდიდენ ეს უბედურები, რომელნიც ბრძოლის ველიდან ბრუნდებოდენ მშობლიურს სახლში მოსარჩენად. ლაზარეთები მაშინ არ იყო. სანიტარული დახმარებაც არა ყოფილა და თითეული, დაჭრილი ბრძოლაში თავის კერას ესწრაფებოდა.

ამ წამებაზე, გაჩუმებულია ქრონიკები წარსულ საუკუნეების და სდუმს ასევე ლიტერატურაც.

მაგრამ ურემი უფრო მხიარულ მოგონებებსაც აღგვიძრავს ცნობილია, რომ ქართული ლაშქარი, სალამოთი დაბანაკებისას მხიარულობდა ძველი ადათისაებრ და მას თან ახლდა ურემები ღვინით რუმბებით ეს სალამოები ტარდებოდა ზურნითა და სიმღერებით. თითქოს არავინ ფიქრობდა მტერის სიახლოვეზე.

ასე მრავალი ხანის განმავლობაში ურემი იყო საიმეიათო და უსაჭიროესი საგანი და დღესაც ქართველებისათვის ასეთი მნიშვნელობა არ დაუკარგია. შეუძლებელია წარმოიდგინო ქართული სოფელი, უურმოთ. არც ერთი სოფლური სურათი არ არის, რომ მას ურემი აკლდეს. ასევეა პოეზიაშიც.

ურმული სიმღერა პირდაპირ მშვენებაა ქართული მუსიკისა. მოიგონეთ ადგილი ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღიდან“ როცა მძინარე ალაზანის ველს აღვიძებს ურმის ჭრიალი.

„ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა!...
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღვლიანად მასზე მეურმე
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის ვით გლოვის ზარი.
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ ჰყრის კიდეც ვით ღრუბელს ქარი“

ეს მშვენიერი სტრიქონები მკითხველის სულში ახსამენ რაღაც წყნარ სევდას ისევე როგორც გიოტეს პატარა ლექსი: „მთათა მწვერვალნი“ რა შედდრება, როცა ღამის მყუდროებას შორიდან არღვევს ნაღვლიანი და წყნარი ურმული.

ილია ჭავჭავაძესთან ხშირად მომისმენია ღამეში ურმული, როცა მე და იგი ვმსხდარვართ საგურამოს აივანზე. მხოლოდ არაგვის შორეული დუდუნი ანელებდა მთვარის სინათლეში მოჩურჩულე ხმებს. ღამეს ყელასათვის იდუმალი ძალა აქვს და ურმულის ხმები ამ საიდუმლოს უფრო ზრდის.

მაგრამ როცა ყურს უგდებთ ურმულს, არ უნდა დაივიწყოთ მისი მომღერალი—მეურმეც. აქ ის მარტოა, მისი ამხანაგები ან ძილში არიან ან და საუბრობენ თავისთვის. მაგრამ ის, რომელიც საათობით მღერის ამ ნაღვლიან სიმღერას, ატარებს თავის ფიქრებს, ალბად რაღაცაზედ ოცნებობს და თუ ჭაბუკია და შეყვარებული, ალბად ის თავის მიჯნურს შეჰკვნესის.

ჩემის აზრით კამეჩი უფრო უდგება ურემს ვიდრე ხარი. ის უფრო მსხვილია უფრო ძლიერი და მაინც ნაზი ცხოველი. მის შავს ფერს და მის შავ თვალებს მოსლგამთ რაღაც კეთილშობილება, თანაც რაღაც ტიპიური რამ.

მე მიყვარს ეს ზანტი ცხოველები და ილია ჭავჭავაძესაც უყვარდა, უალერსებდა და ხშირად აღტაცებული იყო მათი წყნარი, შავი თვალებით.

მერე რა დაუღლელები არიან ეს კამეჩები. ხშირად აუვალ ციცაბო აღმართზე აზიდავენ ურემს!

ურემი კამეჩებ შებმული, აი ნამდვილი ტიპიური სურათი ქართული სოფლის. და თუ ურემი გადაჩარდახულია ჭრელი ხალიჩით და შიგნით მუთაქებზე სხედან ქალ რძალნი ტურფად გამოწყობილები თეთრი ლეჩაქებით,—ეს უკვე წმინდა თავისებური ქართული სურათია, როგორც კონსტანტინოპოლში ბოსფორზე და ოქროს რქაზე ოსმალოს ქალებით დატვირთული ნავები არის თავისებური და ტიპიური ოსმალური სურათი.

**არტურ ლეისტ.**

## უღელტეხილზე

უღელტეხილი—ძველ და ახლის—ჩემით თავდება;
ჩონჩხის კივილი უცნობ ურის ცემით ავდება.

ორბის სიგიჟით ზე მოვქეც ტინის სალ კლდეებს;
და ცისარტყელად ვავლებ ეთერს რკინის სალტეებს.

ვით გაქცეულ ტუსაღის დაფეთილი თვალები,
ისე მომჩერებიან დაფლეთილი ვალები...

ბებერ სამყაროს მზე დაღლილი სადღაც მიათრევს,
და სარჩობელას—ალბად ყველას—რაღაც მიართმევს.

ელვის ყიჟინით ვაგვირისტებ უსაზღვროებას,—
და თუჯის მხრებით ვაყირავებ უზავ დროებას.

უეცარ შერკინებად გადვაგდე ხელთათმანი.
და ვიდრე აქ ქაოსის ვიხვიო ხელთა თმანი:

დაფნით შევუმკობ თავშალს, ვინაც მშვა უნაზესმან;
მარად აწვდილი დაშნით ვიარო უნდა... ს ე ზ მ ა ნ

**ს. ერთაწმინდელი**

# ქრონიკა

### გაზ. „ბახტრიონის“ მკითხველთა საყურადღებოდ

**დღეიდან გაზეთ „ბახტრიონის“ თითეული ნომერი, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში, ეღირება 5.000. მანეთი. ნაცვლად ათი ათასი მანეთისა აგენტები და მეგაზეთეები, რომელნიც გაზეთს ზედმეტ ფასებში გაჰყიდიან, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულები.**

**ქართული გამომცემლობა საზღვარ გარედ.**

პოეტი ნიკოლო მიწიშვილი პარიზში აწყობს ქართულ გამომცემლობას. ქართველი პოეტების თარგმანებში მონაწილეობას იღებენ: კ. ბალმონტი. ი. ერენბურგი და ო. მანდელშტამი.

**ნიკოლო მიწიშვილის ახალი წიგნი.**

ნიკოლო მიწიშვილი კოსტანტინეპოლში ჰბეჭდავს ლექსების მეორე წიგნს:

„წმინდანიანი აჲა-სოფიაზე.

**„ვეფხის ტყაოსანის“ სიმფონია**

გრიგოლ სოლოღაშვილმა დაასრულა „ვეფხის ტყაოსანის„ სიმფონია. სიმფონიის უმთავრესი მიზანია თხუზულების შესწავლის გაადვილება სიმფონიას აქვს დამატებები: „ვეფხის ტყაოსნის“ რითმები და ეპიტეტები. როგორც ცნობილია“ „ვეფხის ტყაოსანი“ შეიცავს 1576 ტაეპს ანუ 6304 სტრიქონს ანუ 100,864 მარცვალს. მარცვალი საშუალოდ შესდგება 2 114 ასოსაგან. ე. ი. 225·000 ასოს. სიმფონიაში განწყობილ სიტყვების დათვლიდან აღმოჩნდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შესდგება 40.080 სიტყვიდან, ამ ორმოც ათასს სიტყვას აქვს 13.885 ფორმა, ძირითადი სიტყვა არის 2,377.

**გარდაიცვალა** თბილისში მწერალი სოფრომ გლახაშვილი (ტარუაშვილი). ავტორი: „წყურვილის“, „ზორვად“-ის და სხვა.

**დავიწყებული ოცდაათი.** პოეტს ვარლამ რუხაძეს წრეულს შეუსრულდა ოცდაათი წლის თავი სალიტერატურო მუშაობის. (დაიბ. 1874 წ. მეღვინეს ოჯახში. სავაჭროებში სამსახურის დროს ვარლამი გაეცნო ლიტერატურას. პირველი მისი ლექსი 1892 წ. დაიბეჭდა)

ვარლამ რუხაძე ერთად ერთი წარმომადგენელია პროლეტარული პოეზიის ვერც მისი ამხანაგები, მოწაფენი და ვერც პროლეტარული ასოციაციის მწერლები ვერ გასცილებიან ჯერ მის გავლენას და ვ. რუხაძე მათს ბაირახტარობას ისევ განაგრძობს.

აკაკი წერეთლის პირველი უშუალო გავლენის შემდეგ მან შექმნა საკუთარი პოეზია, რომელიც ქართულ დემოკრატიისთვის უსათუოდ დიდს განძს წარმოადგენს. მისმა პირველი ეპოქის მოწაფეებმა ოდნავ გადიხარეს მარცხნივ ლექსის ტეხნიკაში, მაგრამ დღევანდელი პროლეტარული ასოციაცია შეუბრალებლად სწოვს ვარლამ რუხაძეს.

ვიმეორებთ, ქართველ დემოკრატიას არ ჰყავს ასეთი ერთგული და საყვარელი პოეტი. ვ. რუხაძე სამუდამოდ დარჩა დემოკრატიასთან და უკანასკნელი მოვალეა დაასაროს მისი ოცდა ათი წლის თავდადება.

**ირაკლიონ ხინდუჟმა** (ინ-ბანი) დაასრულა პიესები: „გიორგი ბრწყინვალე“, „ნოდარ ციციშვილის ასული“, „ფარვანა“ „დედა“.

**მოსე ჯანაშვილმა** შეადგინა ვცელი ქართული ლექსიკონი, რომელიც საბა ორბელიანის ლექსიკონზე ხუთჯერ დიდია. ახლა ათავებს „ვეფხის ტყაოსნის“ ლექსიკონს.

**ვაჟაფშაველას საღამო**

6 ნოემბრის ახალი მწერლობის კავშირმა წრევანდელი სეზონი გახსნა ვაჟაფშაველას საღამოთი. საღამო გახსნა გრიგოლ რობაქიძემ. შემდეგ ილაპარაკეს პაოლო იაშვილმა და ტიციან ტაბიძემ. ხალხი აუარებელი დაესწრო.

**ახალი მწერლობის კავშირის მორიგი ესთეტიკის საღამო.**

კვირას ნოებრის 13-ს, ხელოვნების სასახლეში (სერგიევის 3) შესდგება ახალი მწერლობის კავშირის საღამო. შალვა ამირანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ძველი ქართული პალსტიური ხელოვნება.“ მოხსენების დროს ნაჩვენები იქნება დიაპოზიტივები.

## ქართულ თეატრისთვის

შაბათს, ნოემბრის 12, საღამოს 6 საათზე, განათლების კომისრის კაბინეტში შესდგა საგანგებოსხდომა მთავარ სახელოვნო კომიტეტისა განათლების კომისარის თანდასწრებით, რომელზედაც გაირჩა საკითხი ქართული დრამატიულ თეატრის მდგომარეობის შესახებ სხდომას დაესწრენ: საქართველოს ხელოვანთა მთავარ კომიტეტის წარმომდგენელი, აკადემიური თეატრების მმართველობა, საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენელი, ახალი მწერლობის კავშირის წარმომადგენელი, რეჟი-

ოთხ დღეს შემდეგ მოვიდა. ლეიდენის კლინიკაში მომზადებული ოთახები დამხვდა და პირველ დღესვე იმ კლინიკაში დავბინავდით.

ეკატერინე ივანოვნას მადლობას ვუძღვნით, რომ მისის მეოხებით აქ ყველანი დიდის პატივისცემით დაგვხდნენ. თვითონ ლეიდენს ჩემის სნეულების მიზეზი აოცებს. არავითარი ზიანი არა გაქვსო, გული და მაჯა საღის და ჯანმრთელის კაცისა გაქვსო და რისგან მოგდის ეგ გულის ხუთვა სულის შეგუბება ვერ გამგიაო ამიტომ პირველ დღიდამვე დღეს აქამომდე გულის ყურს მადევნებს, რომ მიზეზი შეიტყოს. მე როგორც უკანასკნელ ხანებში ვიყავ მანდ, თითქმის ისევ ისე ვარ. ფეხების სიმსივნემ არ მიკლო ღონეზედაც ჩემებურად ვერა ვარ. სხვანი კი მარწმუნებენ, რომ სახით გარეგნობით მოჰკეთდიო. მგონია, ამ, ერთის კვირის შემდეგ, ისე იგი, 25-ს ამ თთვეს იქნება კარლსბადში გამისტუმროს ლეიდენმა.

მარწმუნებს, რომ, ისე იქნება თუ არა, საღსალამად გაგისტუმრებ შინაო. ღმერთმა ჰქმნას! სიარულს მიშლის. დღეში ერთის საათის მეტს ნუ ივლიო: ისიც ორ გზობით ნახევარ-ნახევარ საათით გუშინ კი მითხრა დღეში ორჯერ კიბეებით ეტაჟიდამ მეოთხე ეტაჟში ადი ჩამოდი, ერთი დილით, ერთი საღამოთიო, არასფერს წამალს არ მასმევს ლიმონის წვენის მეტს, დღეში სამ ჭიქანს მასმევს. რძე ამიკრძალა.

მეც ვსვავ ამ ლიმონის წვენს და კიბეებიდამ ზემო ეტაჟებში დავდივარ. მარტო ამასა ვწუხვარ, რომ ბევრი დრო მეკარგება,-ერთი კარგად მომეჩხრიკნა ბერლინი და გერმანიის ქალაქები მაინც თავისუფლად მეურობა,

ჯერ მარტო ეს წარმოიდგინე, რომ დღეში ხუთჯერ გვაჭმევენ და თვითეულ ჭამაზე უსათუოდ უნდა დაესწრო, თორემ სწყინთ და ჯავრობენ.

ჭამიდამ ჭამამდე იმდენი დრო არ არის, რომ წახვიდე სადმე. ბერლინი ისეთი დიდია, რომ მანამ წახვალ და მოხვალ ჭამის დროც მოდის და ნახვისა და მოჩხრეკისათვის დრო აღარა ჰჩრება.

მაგრამ რაც აქამომდე ვნახე, ისიც საკმაოა, რომ ქართველმა კაცმა თავისითავი ღვთისაგან ღვთისაგან დაწყევლილად ჩასთვალოს. სად ესენი და სად ჩვენი უბედური ერი! გერმანელნი ახოვანნი და ძლიერი ერნი არიან სულით და ხორცით.

ამათი მერმისი დიდია და თვალ გადაუწვდენელი. მე მგონია, რომ კაცობრიობა პირრველობას ამათ დაუთმობს ქვეყნიერობაზე თავისს დროზე. დიდი ჯანიანი ერია, როგორც ვთქვი სულით და ხორცით დიდი მერმისი მოელით.

შენი ჭირიმე ნიკო ერთი მეგობრობა კიდევ გამიწიე და მრავალ სხვასთან ეს ერთიც კისერზე დამაწერე. ლევან ჯანდიერი ნახე. товарищество садовладельцев „Кахетия“ მე ფული უნდა მომცეს და უთხარ ლევანს მოგცეს ან შენ ქრისტეფორე მამაცოვს: ძალიან საჭიროა. არ მოეშვა, მინამ არ მოქცემენ. თუ შენ გამოართმევ ქრისტეფორე მამაცოვს ჩააბარე და იმან იცის, როგორ მოიხმაროს ეგ ფული ადრევე უნდა მოეცათ, მაგრამ დამპირდენ ივლისში მოგცემთო. ძალიან ეცადე რომ გამოართვა.

სხვა იყავ მშვიდობით შენის ქალითურთ. ჩვენებმა პატივისცემა მოგახსენეს. იაკობი და ლეისტი მომიკითხე და განსაკუთრებით კიკოძე.

შენი ერთგული **ილია ჭავჭავაძე**

II აგვისტო 1904

**ძმაო ნიკო.**

კაცო, განა ესე დავიწყება იქნება რომ ერთი-ორის კალმის მოსმითაც არ გამიკითხე. მე ბერლინიდან წიგნი მოგწერე და შენ პასუხიც არ მაღირსე. მე ეხლა ევროპიელი ვარ და ამისთანა ქართველობა შენი ვერაფრად მეჰაშნიკება. ერთი გაახარე დათიკო სარაჯოვი, რომ მე ასე მალე გაევეროპიელდი და ამას იქით თავისის ევროპიელობით აბეზარს ველარ მომიყვანს და ნიშნს ვერ მომიგებს.

ეხლა ჩვენი ამბავი. მე ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან ცუდად შევიქენ და ჩემმა ასეთმა მდგომარეობამ კარგა ჩამაფიქრიანა. ამიტყდა საშინელი ქშენა, ხელისა და ფეხის განძრევაზე ისე მიგუბდებოდა სული, რომ არ ვიცოდი რა მექნა. ერთი ორი ნაბიჯი რომ გადამედგა, სუნთქვა ისე შემეკროდა, რომ ველარ ვლაპარაკობდი, რადგანაც სულს ვერ ვიბრუნებდი.

შევჩივლე ჩემი ასეთი წახდენა ჩემს მკურნალს, რომელიც თითონ ლეიდენმა ამირჩია. შემიწუხდა თვითონ მკურნალიც და ბოლოს მითხრა: მიზეზი არ მესმისო, უსათუოდ პაპიროზის ბრალია და თქვენს თავს აქედამ უნდა უშველოთო. თუ პაპიროზზე ხელს აიღებთ, ხომ რა კარგი, თუ არა და ისევ ის სჯობია წამლობას თავი დაანებოთ, ტყუილი ხარჯი და მოცდენააო.

პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა მერე ასეთის ხვეწნით და მუდარებით, რომ კინაღამ გული ამომიჯდა ვსთქვი ჩემს გულში ნეტა ამას რა სჯის, რომ ასეთის სიყვარულით მეხვეწება და მემუდარება მეთქი. სხვა გზა არ იყო, პატიოსანი სიტყვა მივეცი და მას დღეს აქედ პაპიროზის გემო აღარ ვიცი.

არ გამოსულა სამი ოთხი დღე მას შემდეგ, რომ ლაზათიანად მოვჯობინდი და ახლა ისე კარგა ვარ, როგორც დასვენებულებამდე ვიყავი, თუ არ უკეთესად.

დღეს 19 აგვისტოს (ჩვენებურად) მკურნალმა სიხარულით მანუგეშა: თუ ესე კარგად წავიდა შენი საქმეო, ორს (ჩვენებურად) სექტემბერს კარლსბადიდამ გაგისტუმრებო სალ-სალამათადო და მკითხა: საით აპირებ წასვლასაო. მე ვუთხარი,—პარიზში მივდივარ და იქიდამ,—შინ წავალმეთქი. შეხტა და შემოტრიალდა ამაზე ჩემი ექიმბაში.

კარლსბადიდამ შენი პარიჟში წასვლა არას გზით არ შეიძლებაო კარლსბადის წყლების შემდეგ დიდი შესვენება გინდაო, ერთი ორი თვე მაინც ძალიან მშვიდობიან და მყუდრო ადგილას უნდა იცხოვროო, რომ არც ხმაურობა, არც ჟღრიამული, არც დიდი გართვა, არც არავითარი საქმე და არეულ-დარეულობა არ უნდა გაწუხებდესო. შენი პარიჟში წასვლა და ამოდენა ღვაწლის ამაოდ ჩავლა ერთი იქნებაო.

მე ვფიქრობ, ვაი თუ უფრო უარესად გახდე, ვიდრე ამას წინად იყავიო პარიჟში ყოველი ბიჯი სამაცდუროა, ყოველ ბიჯზე ახალი რამ სანახავია, ახალი რამ სასმენელია და იმოდენა უარებელს საგრძნოსა, სახილველსა და სასმენელს დიდად ჯანმრთელი კაცი ძლივს გაუძლებსო და შენ ნაავადმყოფარი და მერე ისეთი ნერვებ აშლილი როგორც შენა, როგორ გაუძლებ და აიტანო. არამც და არამც პარიჟში არ წახვიდეო უარსს ნაწამლავს შენი მოსისხლე მტერიც ვერ აგირჩევსო.

დამინიშნა შვეიცარია. მე დიდი უარი ვუთხარი. მაშ თუ ეგრეა, აქედამ ვენაზე გაიარე, იქა ვენის მიდამოებში ძალიან კარგი მყუდრო და მივარდნილი ადგილებია, იქ ერთი ორი კვირა კარგად შეისვენე, მოღონიერდი და ისე წადი საქართველოშიო.

გზაზე სამგან მაინც შეისვენე თითო დღე. საქართველოშიაც სოფლად უნდა წახვიდე სადმე კარგს ჰაერში და ერთი ორი თვე უზრუნველად, უდარდელად და უწყინარად იცხოვრო და მერე შეგიძლიან ქალაქშიაც ჩახვიდე და შენს საქმეს მოჰკიდო ხელიო. თუ გინდა რომ ჯანსაღად იყო და შენი სნეულება აღარ დაგიბრუნდეს, ასე უნდა მოიქცეო.

მეტი რა გზაა, პარიჟზე ხელი ავიღე. წარმოიდგინე პარიჟი თითქმის ცხვირ წინ არის და მე კი მისი უნახავი უნდა წამოვიდე, დარდუბალაც ამასა ჰქვიან მაგრამ რას იზამ? ამდენი ვაი ვაგლახი და წამლობა გამოვიარე, ძლივს გამოვკეთდი და ყველა ეს პარიჟის ნახვას როგორ ვანაცვალო?

ამ სახით ჩემო ნიკო, ორს (ჩვენებურად) სექტემბრს კარლსბადს გამოვეთხოვებით. ამ წიგნის პასუხი აქ კარლსბადში ველარ მომისწრობს, რადგანაც წერილს ერთს გზობაზე რვა დღე უნდება. დათიკო სარაჯოვი თავისის მეუღლით მომიკითხე სიყვარულით. დეპეშით მოკითხვისათვის გმადლობთ. ყველას მოკითხვა.

(სახელი და გვარი წერილს მოწერილი არა აქვს).

ეს წერილები მოწერილია საზოგადო მოღვაწესთ-ნ ნიკო ცხვედაძესთან, რომელსაც დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის აგებით დიდი სამსახური მიუძღვის ქართველ ხალხის წინაშე.

1900 წ. ივნისში (საგურამოში) ილიას აუტყდა ასტმა. დავით სარაჯიშვილმა მისმა მეუღლე ეკატერინემ ნ. ცხვედაძემ და სხვ. ძლივს გააბედინეს ილიას სამკურნალოდ წასულიყო ლეიდენთან კარლსბადში. ილიასთან ერთად გაემგზავრენ: ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი ისტორიული მონოგრაფიების ავტორი) და მწერალი—ანტონ ფურცელაძე, რომელიც ნერვებ აშლით იყო ავად. ილიამ დაჰყო ორი თვა საზღვარ გარედ და ენკენისთვეში თბილისს დაბრუნდა. მართალია, ძალიან აღტაცებული იყო ევროპით და კერძოდ გერმანიით, მაგრამ დაბრუნებისას, როცა ნავთლუღში მატარებლიდან ილიამ თბილისი დაინახა, თვალზედ ცრემლი მოერია. ილია შემდეგ ამბობდა: ბავშობაშიც ვყოფილვარ სამშობლოსგან მოშორებით, მაგრამ მაშინ ასე არ მიხაღვლიაო. დაბრუნების შემდეგ ილია სრულიად არ ასრულებდა ლეიდენის რეჟიმს; ჭამაში დიეტას არ იცავდა და ისევ ავათ ხდებოდა. ამას თან დაერთო ჭაჭებში ქვაც, რაც ძლიერ აწუხებდა. იაკობ—იაკობ გოგებაშვილია, რომელიც ნიკო ცხვედაძის დიდი მეგობარი იყო. პირველი წერილი მოწერილი ბერლინიდან, მეორე-კარლსბადიდამ.

**გ. ლ.**

სურ და აგრეთვე რედაქტორები „,ცისფერი ყანწების“, ხომალდის, „,ბახტრიონის“, „,ლომისის“, „მეოცნებე ნიამორების“ „,ილიონის“ და სხვა.

**თელავის სამუსიკო სასწავ. გამგე.**

თელავის სამუსიკო სასწავლებლის გამგედ დაინიშნა პირველი სახელმწიფო კონსერვატორიის კურს დამთავრებული ახალგაზრდა კომპოზიტორ ლევან ფალიაშვილი.

## არქეოლოგიური აღმოჩენა

რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მმართველობამ აღძრა შუამდგომლობა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რათა იმ გათხრას რომელიც განზახულია მამადავითის მთაზე—ტყის მოშენების მიზნით—დაესწრენ მმართველობის რწმუნებულებიც, ვინაიდან ყოფილა შემთხვევა, როგორც კერძო გათხრის დროს უნახავთ უძველესი არქეოლოგიური ნივთები. რწმუნებულების მოვალეობა იქნება თვალყური ადევნონ გათხრას, და თუ რამე არქეოლოგიური ღირებულების ნივთი აღმოჩნდა, სათანადოთ აღნუსხონ და ჩააბარონ იგი საქართველოს მუზეუმს. რწმუნებულებად თავის მხრივ მმართველობამ დაასახელა.

1) ნ. ჩუბინაშვილი, 2) პჩელინი, 3) ლ. მელიქსედბეგი, 4) ს. გორგაძე, 5) შ. ამირანაშვილი და 6) ს. იორდანიშვილი.

**იპპოლიტოვ-ივანოვი**

სახალხო განათლების კომისარიატმა დეპეშით მიმართა რუსეთის განათლების სახალხო კომისარს ლუნაჩარსკის და სთხოვა წარმოადგინოს საქართველოში ოპერა „,ღალატის“ ავტორი, კომპოზიტორი იპოლიტოვ-ივანოვი, მთელი რიგ კონცერტების მოსაწყობად.

**კ. ანდრონიკაშვილი**

რეჟისორი კონ. ანდრონიკაშვილი, გაემგზავრა ბათომში, სადაც იგი მოწვეული იქნა რეჟისორად ქართულ აკადემიურ თეატრში.

## ილია ჭავჭავაძის თხზ. II და III ტომების გამოცემა.

მიხ. გედევანიშვილი აპირებს შეუდგეს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა II და III ტომების გამოცემას. ამიტომ მან მიჰმართა სახალხო კომისართა საბჭოს თხოვნით, რათა ილიას ნაწერების გამოსაცემათ მას დაუბრუნდეს I ტომის დივიდენდი რომელიც, როგორც „ქართველი ერის საკუთრება“ ინახებოდა ტფ. სამეურნეო კრედიტის საზოგადოების ბანკში, ეს თანხა სარგებლიანად აღწევს 3000 ოქრ. მანეთს და შენახულია გამოცემის გასაგრძელებლად; რათა გამოწერილ იქმნას ამ თავიდანვე წინასწარ ხარჯების დასაფარავად ბიბლიოთეკებისა და სკოლისათვის არა ნაკლებ 400 ცალისა; საზღვარ გარედ წასვლისათვის მასალის შესაძენად, კლიშეებისა და სურათების დასამზადებლად მიეცეს ყოველნაირი შეღავათი და სხ.

თუ სახალხო კომისართა საბჭომ გამომცემელის თხოვნა დააკმაყოფილა. მაშინ იმედია, რომ ექვსი თვის მერე ვიხილავთ ილიას თხზულებათა მეორეს და შემდეგ მესამე ტომსაც.

## საზღვარ-გარეთ

**პიკასსოს სურათების გამოფენა.** მიუნქენში, ტანნჰაუზერის გალერეაში გამართულია პიკასსოს კუბისტური სურათების გამოფენა. ეს სურათები წარმოადგენს პირდაპირ ნატურალურად გადმოცემულს გამოსახულებათ და ფიგურებს. საღებავები ამ სურათების სადაა, ფორმები—მკვეთრად მოკვეთილი.

პიკასსოს ახალი შემოქმედების განსამარტებლად შეიძლება ვიხმაროთ: ენგრ, კლასიციზმი.

„საჭიროა თუმცა ვაღიაროთ,—სწერს „Berlin. Taqell.“, რომ შედარებით ძველ კლასიკოს ოსტატებთან,—პიკასო რამდენად ძუნწია, ფხიზელი და ახდენს ეპიგონის შთაბეჭდილებას.“

**ბერგსონის ახალი წიგნი.** გამოვიდა ახალი წიგნი ბერგსონის „ხანგრძლივობა და თანდროულობა ეიპშტეინის თეორისგამო“ ბერგსონი სთვლის ეიპშტეინს დეკარტის მექანისტურ შეხედულებათ გამგრძელებლად, რასაც წინ უყენებს ნიუტონის დინამიზმს.

**ბლასკო იბანიესი.** როგორც „I'opinion“ იუწყება, ბლასკო იბანიესს განგანზრახვა აქვს თავისი მომავალ ნაწარმოებში აღწეროს ქრისტოფორ კოლუმბის გამგზავრება ახალ ქვეყანაში. ამის საბაბით მწერალი მადრიდიდან გადასახლდა პალოს პორტში, საიდანაც, როგორც ცნობილია, 149 მან. 3 აგვისტოს კოლუმბი გაემგზავრა.

**ინტელექტუალ გაერთიანების საერთაშორისო საკითხების კომისია** ჰმართავს კრებებს ჟენევაში. კომისიაში შედის 12 კაცი კომისიის თავჯდომარეა ბერგსონი. ეიპინქტეში ვერ დაესწრო სხდომების გახსნას, იაპონიაში გამგზავრების გამო.

**კ. ბალმონტის მოთხრობები** ბერლინის ერთი გამომცემლობა ჰბეჭდავს კ. ბალმონტის დაუბეჭდავს მოთხრობებს. ბალმონტის მოთხრობები თავისი სტილით ძალიანი მიაგავს ლესკოვის მანერას.

**ანრი ბატაილის სიკვდილი.** მოულოდნელათ გარდაცვლილა ცნობილი დრამატურგი ანრი ბატაილ, ავტორი დიდი ხმაურობის გამომწვევი პიესების: „გაშიშვლებული“, „ქალწული უგონო“, „ჩირაღები“ და სხ. ბატაილ დაიბადა ნიმეში (1872 წ.) და დიდი ხანი სწავლობდა მხატრობას, განსაკუთრებით პორტრეტულს. მოულოდნელმა გამარჯვებამ მისი პიესის („ქალი კეთროვანი“) აალებინა ხელში კალამი. უბირმა მხატვარმა ძალიან მალე მოიპოვა ევროპიული სახელი და კარგი შეძლებაც.

**ვერხარნის უკანასკნელი წიგნი.** „Revue be l'epoque„-ში დაიბეჭდა ემილ ვერხარნის სიკვდილის წინა დღეებში დაწერილი წიგნი „L'es Cénies“, რომელიც შეიცავს რულენსს, რემბრანდტს, ტენს, ბალზაკს, რესსოს, ლიუტერს და გიოტეს.

**დ, ანუნციოს ახალი რომანი** ანუნციომ დაბეჭდა რომანი „ნოკტიურნ“ რომელმაც იტალიაში ნაკლები შთაბეჭდილება გამოიწვია.

**მოლიერის პიესები** „Temps“-ის გამოკვლევით მოლიერის პიესები 1680 წლიდან წარმოდგენილა 21. 584 ჯერ. ყველაზე მეტად „ტარტიუფი“ იდგმებოდა.

**შილლერის პრემია** უკანასკნელი შილლერის პრემია მიუსაჯეს ფრიც ფონ უნრუს ტრაგედიისთვის: „ერთი ტომის ისტორია“ და რეინგარდ გერინგს პიესისთვის „ბრძოლა ზღვაზე“

**ს. ზენელლიმ** დასწერა ტრაგედია „,ალი“ პიესის გმირი მოითხოვს თავისგან და სხვისგან სრულ უარს გრძნობიარობაზე. მაგრამ ბოლოს და ბოლოს თითონვე ვარდება მის ულმობელ კლანჭებში და თავს იკლავს.

**ფაუსტი ისლანდიურად.** ფაუსტი პირველად გადითარგმნა ისლანდიურ ენაზე. მთარგმნელმა ბჟერნი იანსონმა თავის ნაშრომში სახელმწიფოდამ სუბსიდიათ მიიღო 10 ათასი დანიური კრონიხა.

**იბსენის „ნორა“** გადაითარგმნა ძველს ებრაულს ენაზე და ბოლო ხანს დაიდგა იერუსალიმის სცენაზე.

**ჰეინეს ლექსები** ქ. ჩიკაგოს არხივებში მრავალ ხელ ნაწერთა შორის აღმოაჩინეს ჰ. ჰეინეს დაუბეჭდავი ლექსები.

**აღმოჩენა** გარადის ტბის ნაპირად მდებარე ერთ ერთს უძველეს ვილლაში აღმოაჩინეს პირველი აღორძინების პერგამენტული ხელნაწერები და ათასზე მეტი წიგნი.

**უცნაური კურიოზი.** ბროკჰაუზის ლეპციგის გამომცემლობამ გამოაცხადა კონკურსი შემდეგ თემაზე: რა დაერქვას ბროკჰაუზის ენციკლოპედიის ახალს გამოცემას.

შესაფერი სახელის გამომგონს ეძლევა 7.000 მარკა.

**ბარონ დენი კოშენის სიკვდილი.** პარიჟში გარდაიცვალა 71 წლის საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ბარნი დენი კაშენი. ავტორი წიგნების: „,ევოლიუცია და ცხოვრება“, „,ახალი სული“ და სხვა.

## ცხოვრება ბერლინში

ვ. ნემიროვიჩ—დაჩენკო ბერლინიდან სწერს ერთს თავის მეგობარს:

...გერმანია ეხლა ალთქმული ქვეყანაა. აქეთ მოეშურებიან შვეიცარიიდან, შვეციიდან, დანიიდან, ყველა მხრიდან, სადაც კი ვალიუტა აწეულია და ამიტომ ცხოვრება ძალიან გაძვირებულია. რაც შეეხება ნაუგემის, კარლსბადის, ვისბადენის, მარიენბადის და სხ. კურორტებს, ამაზე ლაპარაკი მეტია...

ორ ოთახში თვიურად ვაძლევ 2,000 მარკას აქ შედის ელექტროს განათება დილის საუზმე და საცვლები. ტანისამოსი აქ ძალიან ძვირია: საშუალო კოსტიუმი ღირს 4.000 მარკა. ბერლინი ისეა ამსილი, როს ბინის საკითხი ძალიან გამწვავებულია. ბინის შოვნა ძალიან ძნელია, განსაკუთრებით ცენტრში.

ეტლი გაძვირებულა ძველებურ ნიხრზე ოცჯერ მაინც. ავტომომილები ძვირია 30 ჯერ. ცხოვრება სცემს, როგორც მაჯის სისხო წყალი. თქვენ რო იხილოთ თუ როგორ მუშაობს გერმანია. ჭეშმარიტად დიდი ხალხია—თავისი ცხოვრების ტრაგიულს წუთებში არა თუ ჰკარგავს თავს, არამედ აასკეცებს თავის მუშაობას. აუარებელი მაღაზიებია სავსე საქონელით. ფაბრიკები ციებიანი ტემპით მუშაობენ. და მთელი ქვეყნიერობის მომმარაგებელი დღემდე ისევ გერმანია რჩება...

## ცხოვროგდა თუ არა მადამ ბოვარი.

ფლობერის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო, ჰავრის უნივერსიტეტის პროფესორს ა. ლერუას რომელიც დაინტერესებული იყო საკითხით, არსებობდა თუ არა მადამ ბოვარი, მოჰყავს ფლობერის წერილი ქ-ნ ლერუან დე შანტენთან 1857 წლის 18 მარტის თარიღით.

„ისეთ დამატყვებელ მკითხველთან, როგორიცა თქვენა ხართ, უსათუოდ საჰიროა შემდეგს წესს დავადგე: გულწრფელობა არის მოვალეობა. „მადამ ბოვარი“-ში არ არის არც ერთი შტრიხი, არც ერთი ფაქტი ავტობიოგრაფიული. მთელი ეს ისტორია გამოგონებაა თავიდან ბოლომდე. მასში არაფერი არის კერძოდ ჩემი ცხოვრებიდან, ჩემი პირადი განცდებიდან და გრძნობებიდან.

ერთად ერთი ჩემი უმთავრესი პრინციპია, არასოდეს არ არი საჭირო შენი თავი გამოისახო. ამასთან, ხელოვნება ყოველთვის უნდა იდგეს თავისი ვნებების და ემოციების მაღლა- საჭიროა, ბოლოს, ერთხელ და სამუდამოთ მივიღოთ, როგორც გარდუვალი და შეუბრალებელი კანონი—მეტოდიურობა, ჩემთვის ძირითადი მეტოდი შემოქმედების წარმოადგენს სტილს, ფორმას და იმ განუმარტავ შვენიერებას, რაც წარმოიშობება თვით შემოქმედების კონცეპციით და რაშიც ისახება მთელი ბრწყინვალება სიმართლის.

1856 წ. ფლობერი სწერდა ქ-ნ როჟე დე—ჟენეტტს: „M-me ბოვარი“ ჩემთვის იყო გამორკვეული ლიტერატურული მიზანი, მხოლოდ თემაა.

ხოლო 1853 წ. ტრუვილიდამ ის სწერს ქ-ნს X:

„ჩემი საწყალი ბოვარი ეხლა სტირის თორმეტ ფრანგულს ქალაქთან ერთად“...

**„ნაკანუნეს“ თანამშრომლები.**

რუსთა მწერლობის და ჟურნალისტების კავშირმა პარიჟში, გამორიცხა კავშირიდან ბერლინის გაზეთ „ნაკანუნე“ს თანამშრომლები და კერძოდ: ა. ნ. ტოლსტოი, ა. ვეტლუგინი (ბურცევის „ობშჩეე დელოს“ თანამშრომელი) და ი. ვასილევსკი (ნე ბუკვა).

გამორიცხვის მოტივია—შეუთანხმებლობა მათი პოზიციის ემიგრანტულ სულთან და სრული განცალკევება კავშირის მიზნებთან. გამორიცხვის ქაღალდს ხელს აწერს კავშირის თავმჯდომარე პ. ნ. მილიუკოვი.

რედაქტორ **გიორგი ლეონიძე**


## ს. მ. უ. ს.
## ცენტრალურ სავაჭრო სამმართველო

**უნივერსალური მაღაზიები № 1 და 3**

1) სომხის ბაზარი (ქარვასლა ყოფ. მანთაშევი) 3) სასახლის, 8 (ყოფ. ალშვანგის)

შემოდგომის სეზონისთვის

მიღებულია საქონელი ბათომით და გამოვიდა გასაყიდათ

შალის ქსოვილი

შევიოტი ყველა ფერების დრაპი ვაჟების და ქალების პალტოებისთვის შალის მატერიები ვაჟთა და ქალთა კოსტიუმ. კუპონები მამაკაცთა კოსტიუმ.

აბრეშუმი:

აბრეშუმების კრეპონი „დიუშესი“ და სხვ.

ტრიკოტაჟი:

ჟაკეტები „პაულა,“ აბრეშუმის, საზამთრო ყველა ფერების „ „ მსუბუქი„ „ „ შალის, ბავშვების და ქალების სვევსტები შალის, ქალთათვის, ბავშვების. ვაჟების ჩულქები აბრეშუმის, ფილდიკოსის-ყველა ზომის და ფერების-ქალთათვის და ბავშვებისთვის. ნასკები მამაკაცისთვის, ფილდიკოსის ყველა ზომის.

## დიდი არჩევანი:

ქაღალდის ქსოვილები

ბატისტი ჩითი, რენო ბუმაზეია. გრისბონი ფლანელი, მადეპალამი, შოტლანკა სატინი,

შეკერილი საცვლები მამაკაცისთვის

ჭურჭელი

სამზარეულო, მინანქარით სასადილო ყოველგვარი შუშეულობა

გალანტერეია, პარფიუმერია (საზღვარგარეთის) შეკერილი ტანისამოსი

მამაკაცების შალის კოსტიუმი ტყავის კოსტიუმების კომპლექტი პალტოები ქალების და მამაკაცები:

შეკერილი ფეხსაცმელები ქალთათვის

მამაკაცისათვის **საკუთარი სახელოსნოში მიიღება შეკვეთა ყოველგვარ ფეხსაცმელზე**

**მაღაზია № 2** ქარავან-სარაი ტამამშევისა

კონიაკები და არაყი სარაჯევისა „არგო“

**თუთუნი** საბჭოთა ყველა ქარხნების.

**პაპიროსები** სოლიდნი, საბჭოთა, ეგიპეტსკი, დელიკატეს, საფო, არისტოკრატიული და სხვ.

მიღებულია ახალი საბჭოთა პაპიროსები ფასებიზომიერია.

პროფკავშირის წევრებისთვის 10 პროც. დაკლებით.



## მ. ს. ფ. ს. რ.

**რეზინოტრესტის ტფილისის განყოფილება**

**სოლოლაკის ქუჩა № 4 ტელ. 4—86.**

გამოშვებულია ბითუმი ვაჭრობისთვის დიდძალი:

**კალოშები,**

**საგარეო ავტოს შინები,**

**ავტოშინები, კამერები,**

**რეზინის ლანჩა, ტეხნიკური რეზინა.**

## აზბესტის ნივთები.

ქალაქელ მყიდველების ხელის შესაწყობად „რეზინოტრესტის“ საბითუმო საწყობთან ნოემბრის 1 იდან გახსნილია ცალობით ვაჭრობა კალოშებისა და ტრესტის მიერ დამზადებულ სხვა ნაწარმოებისა.


ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000. სამხედრო საზღვაო კომისარიატის სტამბა